



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1320  
19/07/2018

ქალაქი ბათუმი

1320-05-4-201807191428



**თამარ მართალიშვილზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მასმედიასა და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტზე - დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - მოქალაქეთა მომსახურების საკითხებში დროებით სხვა ფუნქციების შესრულების დავისრების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-6 და მე-9 პუნქტების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 09 ივლისის №1277 ბრძანების, ნონა ქოქოლაძის 2018 წლის 13 ივლისის №1997-05 მოხსენებითი ბარათისა და თამარ მართალიშვილის 2018 წლის 16 ივლისის №9572/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. თამარ მართალიშვილს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მასმედიასა და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს - დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში, დაეკისროს დროებით სხვა ფუნქციების შესრულება, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - მოქალაქეთა მომსახურების საკითხებში და გათავისუფლდეს მისი ძირითადი ფუნქციების შესრულებისაგან, ამავე თანამდებობაზე მომუშავე ხათუნა ალიმანიძის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურების გარეშე (უფასო) შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 16 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

